საქართველოს მთავრობის

დადგენილება №268

2017 წლის 1 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/03/2016, 460080000.10.003.019172) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წ.წ.) სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წ.წ.) სახელმწიფო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა).“.

3. მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 2016-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვროს 211 126 949 (ორას თერთმეტი მილიონ ას ოცდაექვსი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა) ლარის ოდენობით, დანართის შესაბამისად;“.

4. მე-3 მუხლის „გ.გ“, „გ.დ“ და „გ.ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

5. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) პროგრამული დაფინანსების მიმღებ კლუბებში არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭიროებისამებრ, თითოეულ კლუბთან მიმართებით, ინდივიდუალურად მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის ფარგლებში დაფინანსების თაობაზე.“.

6. დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021 წ.წ.) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება (ლარებში)

პრიორიტეტები	**2016 წ.**	**2017 წ.**	**2018 წ.**	**2019 წ.**	**2020 წ.**	**2021 წ.**
კლუბების საბაზისო დაფინანსება	24 671014	24 798768	21 000000	19 000000	18 000 000	18 000000

კლუბების ფინანსური სტიმულირება	1 295 000	3 448 388	7 500 000	9 000 000	10 000 000	10 000000
კლუბების საპრიზო და პრემიალური ფონდი	150 000	6 752 844	6 000 000	6 000 000	6 000 000	6 000 000
მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებები და საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამები	10 935	2 000 000	2 500 000	3000 000	3 000 000	3 000 000
ხარჯების ჯამი წლების მიხედვით	26 126949	37 000000	37 000000	37 000000	37 000 000	37 000000
საერთო ჯამი:	**211 126 949.“.**					

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**